



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №197

2016 წლის 20 სექტემბერი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავდარაანთკარში რეგისტრირებული მოქალაქე ასტერი გიგაურის (პ/ნ №31001004184) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 13 სექტემბრის №05/4/208 მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, დააფინანსოს სოფელ ნავდარაანთკარში რეგისტრირებული მოქალაქე ასტერი გიგაურის (პ/ნ №31001004184) სამედიცინო მომსახურება 100% - 1607 (ათას ექვსას შვიდი) ლარისა და 50 თეთრის ოდენობით.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოდაშვილი